საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა

2800 ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37 ტელ: 0 494 22 30 10

N 1208
15/09/2015

1208-09-2-201509151035

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს**

**ბატონო გიორგი,**

გიგზავნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მიერ მომზადებულ განმარტებით ბარათს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე. გთხოვთ განიხილოთ.

ზაზა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

2800 ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37 ტელ: 0 494 22 30 14

N 1865
14/09/2015

1865-09-3-201509141704

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს
ქალბატონ მაგული კუნჭულიას
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო საბიუჯეტო და მუნიციპალური
შესყიდვების სამსახურის

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში მიმდინარე წლის 10 ივლისის #1504 და 7 სექტემბრის #1881 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსებაზე მიიმართა 3728949 ლარი და ჩამოყალიბდა აღნიშნული განკარგულების #49 დანართით (დანართი თანერთვის ერთ ფურცელზე), რომელიც უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში, სოც:კულტურულ ღონისძიების მუხლებს შორის გადანაცვლება.

**პატივისცემით,**

**როლანდი ლაშხია**

**სამსახურის უფროსი**

საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

დანართი N49

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

| N | დასახელება | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა | პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | ქალაქ ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობა | 73,268.0 | |
| 2 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სუფსა-გულიანის გზის რეაბილიტაცია | | 900,000.0 |
| 3 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჟურულეთის საჯვრიანელი ბაზის რეაბილიტაცია | | 358,887.0 |
| 4 | მაჩხვარეთის ბაგა-ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია. | | 251,744.0 |
| 5 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი ჭალა) წყალმომარაგების სისტემის მოწყობა | | 86,357.0 |
| 6 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა | | 66,427.0 |
| 7 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა | | 226,947.0 |
| 8 | ქალაქ ლანჩხუთში დუმბაძის და წმინდა ნინოს ქუჩებზე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა | | 240,000.0 |
| 9 | ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა და მოასფალტება | | 151,455.0 |
| 10 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა | | 80,180.0 |
| 11 | აკეთის ბაღის შენობის მშენებლობა. | | 149,206.0 |
| 12 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხების და ბეტონის საფარის მოწყობა | | 85,493.0 |
| 13 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა | | 36,085.0 |
| 14 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა | | 114,390.0 |
| 15 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა | | 76,242.0 |
| 16 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფ. ჯურუყვეთის ბაღის შენობის მშენებლობა. | | 258,520.0 |
| 17 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფ. წყალწმინდის ბაღის შენობის მშენებლობა. | | 236,380.0 |
| 18 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა | | 30,574.0 |
| 19 | სოფ. სუფსის ცენტრის კეთილმოწყობა | | 273,740.0 |
| 20 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზის შეკეთება. | | 33,054.0 |
| | სულ ჯამი | 3,728,949.0 | |

პროექტი

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №**

**2015 წლის სექტემბერი**

**ქ. ლანჩხუთი**

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N46 დადგენილებაში (ვებგვერდი 26.12.2014) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ბალანსი 1-ლი მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება მე-2 მუხლის თანახმად.

გ) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

ზ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

თ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

ი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

კ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მე–10 მუხლის თანახმად;

ლ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მე–11 მუხლის თანახმად;

მ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე–12 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მე–13 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები მე–14 მუხლის თანახმად.

**მუხლი 2**. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე